საქმე # 330140019002944576

საქართველოს უზენაესი სასამართლო

განჩინება

საქართველოს სახელით

№13^1-19 | 23 აპრილი, 2019 წელი

კ---------- ლ----, 13^1-19 | ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი შავლიაშვილი (თავმჯდომარე)
ბესარიონ ალავიძე, პაატა ქათამაძე

სხდომის მდივან – კონსტანტინე თოდრიას
პროკურორ - ირაკლი ყვავაძის
ადვოკატ - მ----- ს---------------ის

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ლ---- კ----------ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ----- ს---------------ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის განჩინებაზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის განაჩენით **ლ---- კ----------,** – დაბადებული 1--- წელს, – დაუსწრებლად იქნა ცნობილი დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ლ---- კ----------ს მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“

საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი, კერძოდ: ერთი მესამედით შეუმცირდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით შეფარდებული სასჯელი და მოსახდელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 10 თვით; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარი. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის განჩინების თაობაზე მსჯავრდებულ ლ---- კ-------ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ---- ს----------მა საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. ადვოკატი ითხოვს განჩინებაში ცვლილების შეტანას, ლ---- კ-------ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დანიშნული სასჯელის მოხდისაგან სრულად განთავისუფლებას, დაზარალებულ ნ------ ნ-------ს პოზიციის გათვალისწინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განჩინებაში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

3. შესაბამისად, მსჯავრდებული ლ---- კ-------ს უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელისგან, ვინაიდან წარმოდგენილია დაზარალებულ ნ------ ნ-------ს ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, რომლის მიხედვითაც, იგი თანახმაა, მსჯავრდებულ ლ---- კ---------ს მიმართ გავრცელდეს კანონით გათვალისწინებული შეღავათები.

4. ზემოაღნიშნული კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასჯელის სახით შეფარდებულ/აღსრულებულ ჯარიმაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012

წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ლ---- კ----------ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ----- ს----------ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 თებერვლის განჩინებაში შევიდეს ცვლილება:

3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის თანახმად, მსჯავრდებული ლ---- კ---------- გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისგან.

4. გასაჩივრებული განჩინება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე გ. შავლიაშვილი

მოსამართლეები: ბ. ალავიძე

პ. ქათამაძე